

“ჯიპიაი ჰოლდინგი” ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს ანაზღაურებას გაუორმაგებს

კომპანია “მადლობის ფონდს” ქმნის და პირველადი შენატანის სახით 100,000 ლარის კონტრიბუციას აკეთებს.

4 აპრილი, საქართველო, თბილისი: “ჯიპიაი ჰოლდინგი” Covid-19-ის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ერთვება. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანია ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს, აპრილის თვის ანაზღაურებას გაუორმაგებს. “ჯიპიაიში” აცხადებენ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ადამიანების დახმარება და დაფასებაა, რომლებიც ვირუსის დასამარცხებლად ბრძოლის წინა ხაზზე დგანან.

COVID-19 თან ბრძოლის ფარგლებში “ჯიპიაი ჰოლდინგმა” “მადლობის ფონდი” დაარსა, სადაც პირველ ეტაპზე 100 000 ლარი გადარიცხა. სამედიცინო პერსონალის ანაზღაურებას კომპანია სწორედ ამ ფონდიდან დაფინანსებს. კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებით, შესაძლოა კომპანიის შენატანი კიდევ გაიზარდოს. “ჯიპიაი ჰოლდინგი” ყველა თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას მადლობა უთხრას ექიმებს და “მადლობის ფონდში” დამატებით, მისთვის სასურველი თანხა გადარიცხოს. შესაბამისად, სამომავლო აქტივობა კომპანიისა და თანამშრომელთა ერთობლივი კონტრიბუციებიდან დაფინანსდება.

პაატა ლომაძე, ჯიპიაი ჰოლდინგის გენერალური დირექტორი: *“ვირუსმა ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. თუმცა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა ჩვენი ექიმების ხელშია, რომლებიც თითოეული ჩვენგანის სიცოცხლისთვის დაულალავად იბრძვიან. ჯიპიაიმ ეს ფონდი სწორედ მათთვის შექმნა. გვინდა მთელი კომპანიის სახელით მადლობა ვუთხრა მათ. ჩვენმა ექიმებმა უნდა იგრძნონ, რომ ამ ხანგრძლივ ბრძოლაში მათ გვერდით ვართ. ისინი ნამდვილად იმსახურებენ დაფასებას თითოეული გამოჯანმრთელებული პაციენტისა და გადარჩენილი სიცოცხლისათვის.”*

თითქმის ერთი თვეა “ჯიპიაი ჰოლდინგი” covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებს. კომპანიამ ოფიციალური შეზღუდვების დაწესებამდე იზრუნა თანამშრომლების უსაფრთხოებაზე, უმოკლეს დროში ააწყო დისტანციურ რეჟიმში მუშაობის სისტემა და უკვე მესამე კვირაა მისი 900-ვე თანამშრომელი უწყვეტ რეჟიმში, სახლიდან მუშაობს.

კომპანიამ გააფართოვა ციფრული სისტემები და დაზღვეულებს სრული სადაზღვევო სერვისის დისტანციურად შესთავაზა. ჯიპიაის მომხმარებლები დისტანციურად ახერხებენ მიიღონ სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურების ანაზღაურება, გაიარონ სატელეფონო კონსულტაცია პირად ექიმთან, პედიატრთან და ვიწრო სპეციალისტთან, 100%-

ანი დაფინანსებით. დაზღვეულებს ონლაინ შეუძლიათ მოითხოვონ საგარანტიო წერილი და გადაიხადონ დაზღვევის პრემია.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს დაზღვევა ონლაინ ან გაიაროს სატელეფონო კონსულტაცია ჯიპიას წარმომადგენელთან და სიტანციურად გაიფორმოს პოლისი. ბოლო სამი კვირის განმავლობაში კომპანიამ 120 000-ზე მეტი დისტანციური ოპერაცია განახორციელა.